ახალი ხარაგაული

№330 (22), 12 სექტემბერი, 2016 წ.

საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს განახლდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას, ბრძანებით საჯარო სკოლებში სწავლა 15 სექტემბერს დაიწყება. რა სიახლეებით ხვდებიან ხარაგაულის საჯარო სკოლები სასწავლო პროცესის დაწყებას, ამის შესახებ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, დავით კიკნაძეს, ვესაუბრეთ.

-„მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს განახლდება, ხოლო წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია, რომელიც კერძო სკოლის სტატუსს ატარებს, სწავლას 3 ოქტომბერს დაიწყებს. განათლების სისტემა ახალ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდება. გასული სასწავლო წლის მსგავსად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეს სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემა. წიგნები უკვე შემოტანილია და განაწილებულია სკოლების მიხედვით. წელს პირველკლასელებს „lenovo“ — ს ფირმის „ნოუთბუქები“ გადაეცემათ. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ შარშანდელთან შედარებით წელს გაცილებით მეტი პირველკლასელი გვყავს. მათი რაოდენობა 204 -ს შეადგენს. მნიშვნელოვანი სიახლეა სკოლებში სამედიცინო კუთხითაც. გასულ სასწავლო წელს ხევისა და ბორითის საჯარო სკოლებს დაემატა ექიმის შტატი. წელს მე-3 საჯარო სკოლაში გარემონტდა სამედიცინო ოთახი და ახალი სასწავლო წლიდან ამ სკოლასაც ეყოლება სკოლის ექიმი.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში დადებითად შეფასდა

5 სექტემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს, რომელიც მათ კომისიის თავმჯდომარემ, შალვა ლურსმანაშვილმა, გააცნო. ბატონმა შალვამ ვრცლად ისაუბრა ხარაგაულში მიმდინარე და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები შესახებ და დასძინა, რომ თუკი რომელიმე პროექტი ხარვეზებით შესრულდება, ვიდრე არ მოხდება მისი გამოსწორება შემსრულებელი კომპანიის მიერ, მუნიციპალიტეტი სამუშაოებს ისე არ ჩაიბარებს.

შალვა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, კომისიამ აქტიურად იმუშავა მოსახლეობასთან. კერძოდ, ისინი შეხვდნენ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებლებს. გაეცნენ მათთვის პრიორიტეტულ პროექტებს და ამისდა მიხედვით დაიგეგმა სამუშაოები.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მიმდინარე წელს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამით 1724 -მა ბენეფიციარმა ისარგებლა

5 სექტემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინეს.

სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, ვრცლად ისაუბრა იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ქალბატონი ნანას ინფორმაციით, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით 4 ძირითადი და 12 ქვეპროგრამა მოქმედებს. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სოციალურ მიმართულებაზე 10 აგვისტოს მდგომარეობით 373.3 ათასი ლარი დაიხარჯა და სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 1724 ბენეფიციარს.

ეს პროგრამებია: სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, სამედიცინო და სხვა სახის მომსახურების, ახალშობილთა ოჯახების დახმარების, სამამულო ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების გარდაცვლილ წევრთა დაკრძალვის, სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარების პროგრამა.

გარდა გამგეობიდან დაფინანსებული პროგრამებისა, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სათნოების სახლი“, რომელიც ემსახურება 70 ბენეფიციარს. მათ რიცხვში არიან სოციალურად დაუცველები, მზრუნველობამოკლებული მოხუცები, ინვალიდები და მრავალშვილიანი ოჯახები.

მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა სოციალურ პროგრამაში ჩართულები არიან დევნილები; ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, გამონაკლისის სახით, ხდება უკიდურესად გაჭირვებული დევნილი ოჯახების დახმარება საშუშე მასალით.

სხდომაზე, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ნანა კიკნაძის, მიერ წარმოდგენილი ანგარიში დადებითად შეაფასეს და კომისიას მადლობა გადაუხადეს აქტიური მუშაობისათვის.

მარიანა ბურჯალიანი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატები დასახელდნენ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატები, რომლებიც 8 ოქტომბერს გამართულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას უკვე ცნობილია. გამგებლის არჩევნებში შემდეგი პარტიის წარმომადგენლები იყრიან კენჭს:

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ — ნიკო თოფურიძე;

„უსუფაშვილი — რესპუბლიკელები“ — მიხეილ ჭიპაშვილი;

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — თამაზ ლომიძე;

„პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისთვის“ — მირზა ინასარიძე;

„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ — თემურ ფცქიალაძე;

„ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატები“ — უშანგი ბერაძე.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულში გამგებლის რიგგარეშე არჩევნების ჩატარება, მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის, საპარლამენტო არჩევნებში ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელებამ გამოიწვია.

ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ დირექტორად დავით ლაცაბიძე დაინიშნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის სამსახურის“ დირექტორი, ნოდარ სხილაძე, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა. ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ დირექტორად დავით ლაცაბიძე დაინიშნა, რომელიც 2011—2014 წლებში ამავე სამსახურის დირექტორად მუშაობდა. ამჟამად, ნოდარ სხილაძე ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ დირექტორის მოადგილედ აგრძელებს მუშაობას.

ნადაბურში ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფი გაიხსნება

სოფელ ნადაბურში სკოლამდელი მზაობის ცენტრი უახლოეს დღეებში გაიხსნება. აღნიშნული პროექტი ხარაგაულში საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკამ“ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პარტნიორობით განახორციელა.

საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ სკოლამდელი განათლების პროექტის ხელმძღვანელის, ალექსანდრე კალანდაძის თქმით, ასეთი პროექტი სულ 8 მუნიციპალიტეტში განხორციელდება.

ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფები 3 და 5 წლის ასაკის აღსაზრდელზეა გათვალისწინებული, ხოლო სკოლამდელი მზაობის ცენტრი იმ პირებს მოემსახურება, რომელთაც ასაკის გამო სკოლაში შესვლა ვერ შეძლეს. საუბარია იმ ბავშვებზე, რომლებსაც ექვსი წელი სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით უსრულდებათ.

„გაფორმდება მემორანდუმი ადგილობრივ თვითმმართველობასა და საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ შორის. პროექტი არის ერთწლიანი და ამ ხნის განმავლობაში ყველა ხარჯს დავაფინანსებთ. ჩვენი რესურსით მოხდა ოთახების გარემონტება და ჯგუფების საჭირო ინვენტარით აღჭურვა. გადავამზადეთ პედაგოგები და მათ სახელფასო ანაზღაურებაზეც ჩვენ ვიზრუნებთ. ერთი წლის შემდეგ კი ვალდებულებას ადგილობრივი ხელისუფლება აიღებს. ხარაგაულში სულ ორი ჯგუფი გაიხსნება - ნადაბურსა და N2 საბავშვო ბაღში,“- განაცხადა საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ სკოლამდელი განათლების პროექტის ხელმძღვანელმა ალექსანდრე კალანდაძემ.

გამგებლის წარმომადგენელი ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზურაბ შუბითიძე, მოხარულია, რომ ნადაბურში მეტად მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა და მადლობას უხდის ადგილობრივ თვითმმართველობასა და საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“. „მუნიციპალიტეტის ყოფილმა გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, გადაწყვიტა, რომ ნადაბურში ალტერნატიული სკოლამდელი ჯგუფი გახსნილიყო. ადმინისტრაციულ შენობაში გამოვყავით ერთი ოთახი, მოხდა მისი გარემონტება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა. სულ მალე ჩვენი პატარები კომფორტულ და მოწესრიგებულ გარემოში სკოლისათვის მზადებას დაიწყებენ. როგორც ჩემთვის ცნობილია, 2017 წელს ნადაბურში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა იგეგმება.“- აღნიშნა ბატონმა ზურაბმა.

ამ ეტაპზე ნადაბურში ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფში 16 აღსაზრდელი ჩაირიცხება.

ეკა შავიძე

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში დადებითად შეფასდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, დაინტერესდა უწყობდა თუ არა ხელს საკრებულოს თავმჯდომარე, ინგა მაღრაძე, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მუშაობას.

შალვა ლურსმანაშვილის თქმით, კომისიას მუშაობაში ხელშეწყობა ნამდვილად არ ჰქონდა. „დავალებების განსახორციელებლად კომისია არ იყო უზრუნველყოფილი ტექნიკით. ხშირ შემთხვევაში საკუთარი სახსრებით გვიწევდა გადაადგილება ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის მონიტორინგის განსახორციელებლად." - დასძინა ბატონმა შალვამ.

დეპუტატების უმრავლესობამ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში დადებითად შეფასა.

დასასრულს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ვარლამ ჭიპაშვილმა მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააჟღერა. მისი თქმით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში სოფელ მარელისისთვის გამოყოფილი თანხით სოფლის მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტი, სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ინგა მაღრაძემ, სხვა პროექტით ჩაანაცვლა და მოსახლეობას დაჰპირდა, რომ ორივე პროექტი გაკეთდებოდა, თუმცა დანაპირები არ შეასრულა.

შეგახსენებთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პრეროგატივა მხოლოდ მოსახლეობას გააჩნია.

მარიანა ბურჯალიანი

მუნიციპალიტეტის მასშტაბით 100%-იანი გრანტის ოთხივე მფლობელი გიმნაზიის ჯურსდამთავრებულია

მიმდინარე სასწავლო წელს ხარაგაულიდან უმაღლეს სასწავლებლებში 83 ახალგაზრდა ჩაირიცხა. მნიშვნელოვანია, რომ აქედან 29 ახალგაზრდა უფასო ფაკულტეტებზე ისწავლის. 100%-იანი გრანტის მფლობელი კი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ოთხი მოსწავლე: ნინო ჭიპაშვილი, თამარ სხილაძე, ანა ჩხეიძე და არჩილ მაისურაძე არიან.

თამარ სხილაძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თავისუფალი მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი.

„ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ჩვეულებრივი რეჟიმით ვემზადებოდი, არ ვყოფილვარ სტრესულ მდგომარეობაში. ვფიქრობ, კონცენტრაცია მხოლოდ გამოცდებზე არ უნდა გქონდეს. თუ ასწრებ გართობასაც და მეცადინეობასაც, ამ შემთხვევაში შედეგსაც მიაღწევ. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ვაპირებ მეორე პროფესიის, მეღვინეობის, არჩევას, სურვილი მაქვს, გამოვიდე კარგი მეღვინე."

არჩილ მაისურაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, ნინო ჭიპაშვილი, ძალიან გახარებულია 100%-იანი გრანტის აღებით. „ბოლო წელს თავდაუზოგავად ვშრომობდი შედეგის მისაღწევად. მყავდნენ კარგი პედაგოგ-რეპეტიტორები. გამოცდების ჩაბარების შემდეგ ვფიქრობდი, 70%-იან გრანტს მაინც ავიღებდი. შედეგების გაგება კი საკმაოდ ემოციური აღმოჩნდა. წინ ღამაზი სტუდენტობა და მეტი თავისუფლება მელის. მთავარია მშობლების მოლოდინი გავამართლო. აბიტურიენტებს ვურჩევ, რომ კარგად იმეცადინონ, ბევრი იშრომონ, რასაც წარმატებული შედეგი აუცილებლად მოჰყვება."

თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და თავისუფალი მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი, ანა ჩხეიძე, მიუხედავად საგამოცდო ციებ-ცხელებისა, მიიჩნევს, რომ აბიტურიენტობა საუკეთესო პერიოდია. იგი ხუთ საგანს აბარებდა, რომელიც ფსიქოლოგიურად, რა თქმა უნდა, დამღლელი იყო - „დაღლილობა, ერთგვარი სევდა და დამატებული ნერვიულობა მაბნევდა, თუმცა მაინც საუკეთესო პერიოდია აბიტურიენტობა. ბევრ რამეზე გიწევს ფიქრი, რაც ორმაგად საინტერესოა. თავიდან წარმოდგენა არ მქონდა, რამდენად შევძლებდი, მოლოდინი გამემართლებინა ჩემი ოჯახისათვის. არ ველოდი მსგავს შედეგებს, მეგობრები თავდაჯერებულობას მმატებდნენ და ჩემ გარშემო მყოფი ყველა ადამიანი მამხნევებდა. ჩემი წარმატება მხარდაჭერისა და მეგობრების რწმენის დამსახურებაა. დიდი პასუხისმგებლობა გიჩნდება და მოტივაცია გიმაღლდება, როცა გენდობიან. წარმატებებს ვუსურვებ ყველა აბიტურიენტს, ეს ბედნიერება ყველამ უნდა განიცადოს."

თამარ მაღრაძე

საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს განახლდება

დასაწყისი პირველ გვერდზე

- რა მდგომარეობაა ინფრასტრუქტურის კუთხით საჯარო სკოლებში? ჩატარდა თუ არა რომელიმე სკოლაში სარემონტო სამუშაოები?

- ხარაგაულის საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით საკმაოდ ნორმალური მდგომარეობაა. მოხდა ბორის სკოლა-პანსიონის შენობის ნაწილობრივი გარემონტება. ახალი სკოლები აშენდება სოფელ კიცხში, საქარიქედსა და ღარიხევში, დაიწყება ზვარის საჯარო სკოლის შენობის რემონტი. დაგეგმილია ნადაბურის, ვარძიის, ვახანისა და დაბის N3 საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. N2 საჯარო სკოლაში კი დახურული სპორტული დარბაზი აშენდება.

-ხარაგაულის საჯარო სკოლის მოსწავლეებს სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება. კიდევ ხომ არ მოხდა ახალი ხაზების დამატება?

- წელს ხარაგაულის საჯარო სკოლებს 8 ახალი ხაზი დაემატა და დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსწავლეებს 82 სასკოლო ავტობუსი მოემსახურება. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, რასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს. ხარაგაული მაღალმთიანი რეგიონია და ეს ერთგვარი შეღავათია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სკოლისკენ გადაადგილება შორი მანძილიდან უწევთ.

-რას გვეტყვით საზაფხულო ბანაკებთან დაკავშირებით. ვიცით, რომ ხარაგაულმა ამ კუთხით მიმდინარე წელს ძალიან იაქტიურა?

-დიახ, გვქონდა საზაფხულო „ზვარის ღია კარვების ბანაკი", რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა. ბანაკში სულ 300 მოსწავლე ისვენებდა როგორც ხარაგაულის, ასევე ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებიდან. გვქონდა ასევე ხუთდღიანი ინგლისურენოვანი საზაფხულო ბანაკი კიცხის საჯარო სკოლაში. გარდა ამისა ანაკლიის ბანაკი, რომელშიც ხარაგაულის საჯარო სკოლებიდან 18 მოსწავლე 8 დღის განმავლობაში იყო ჩართული. ზოგადად, საბანაკო სისტემა ბავშვებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და კომუნიკაციის გაღრმავებას უწყობს ხელს. ერთმანეთს ეცნობიან სხვადასხვა მუნიციპალიტეტისა და სკოლის წარმომადგენლები. ამიტომ ასეთი სახის აქტივობები მნიშვნელოვანია მომავალი თაობისთვის. ჩვენ გვქონდა ასევე სასკოლო ოლიმპიადები, რომლებშიც ხარაგაულელმა მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს.

-აბიტურიენტებმა ზაფხულში საკმაოდ დაძაბული პერიოდი გაიარეს. რამდენი აბიტურიენტი გახდა წელს სტუდენტი ხარაგაულიდან?

-სამწუხაროდ, ოფიციალურ ინფორმაციას ჩვენ ვერ ვფლობთ. მაგრამ ზოგადად გეტყვით, რომ წელს ხარაგაულიდან უმაღლეს სასწავლებლებში 83 ახალგაზრდა მოხვდა. რაც იმის დასტურია, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით კურსდამთავრებულთა 50% სტუდენტია. მნიშვნელოვანია, რომ აქედან 29 ახალგაზრდა უფასო ფაკულტეტებზე მოხვდა. სულ ოთხი 100%-იანი გრანტის მფლობელი გვყავს და ოთხივე წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის კურსდამთავრებულია. 70%-იანი დაფინანსება მიიღო ასევე 4-მა ახალგაზრდამ, ხოლო 50%-იანი გრანტის მფლობელი გახდა 6 კურსდამთავრებული. გამორჩეულად ინტელექტუალური თაობა ჰყავს ხარაგაულს. დარწმუნებული ვარ, ისინი სულ რამდენიმე წელიწადში ქვეყნის მართვაში წარმატებით ჩაებმებიან.

აქვე მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ყველა მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება. მინდა, წარმატებული და ნაყოფიერი სასწავლო წელი ვუსურვო მათ. ჩვენ ყველამ ერთად უნდა აღვზარდოთ ისეთი თაობა, რომლისთვისაც უპირველესი სამშობლო, მამულიშვილობა, პატრიოტული სულისკვეთება იქნება.

მარიანა ბურჯალიანი

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში ბლუაშვილების უბნამდე მისასვლელი გზა მოასფალტდა



ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრები მარიამ ბლუაშვილი ამავე სოფლის საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეა. იგი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის სტატუსს ატარებს და ეტლით უწევს გადაადგილება. გოგონას ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ის გახლდათ, რომ მის უბანში მისასვლელი გზა ამორტიზებული იყო და ეტლით გადაადგილება ურთულდებოდა.

ბორითის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ და გამგებლის წარმომადგენელმა ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში ვალერი ბარბაქაძემ პრობლემის აღმოსაფხვრელად ძალისხმევა არ დაიშურეს და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით ბლუაშვილების სახლამდე მისასვლელი გზა შეაკეთეს. მათი დამსახურებით მარიამ ბლუაშვილი ახლა მოასფალტებულ გზაზე კომფორტულად გადაადგილდება.

მარიამის დედა, ქალბატონი მანანა ბლუაშვილი, ამ ფაქტით გახარებულია და მადლიერებას გამოხატავს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ. როგორც ის ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, წლებია, ამ პრობლემის წინაშე იდგნენ და მათ ყურადღებას არავინ აქცევდა.

„ყველამ კარგად იცის, რაოდენ რთულია ცუდ გზებზე ეტლით გადაადგილება. ქალბატონმა მანანამ და ბატონმა ვალერიმ პრობლემის მოსაგვარებლად ძალიან იაქტიურეს. ყველანაირად გვერდით დაგვიდგნენ და მათი ძალისხმევით ჩვენს უბანში მისასვლელი გზა მოასფალტდა. მე და მარიამი ძალიან გახარებულები ვართ. მას ამიერიდან უფრო კომფორტულად მოუწევს გადაადგილება" - აღნიშნა ქალბატონმა მანანამ.

ეკა შავიძე

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასკვნა ცნობილია

2 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ, გარემოსდაცვით დეპარტამენტს მიმართა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საღანძილის ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს მიერ მდინარე ჩხერიმელას დაბინძურების საკითხი შეესწავლათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ-ცენტრალურმა სამმართველომ რეაგირება მაშინვე მოახდინა. სამმართველომ საკითხი დეტალურად შეისწავლა და დასკვნა შეადგინა.

„სოფელ საღანძილეში მდინარე ჩხერიმელას მარცხენა სანაპიროზე განთავსებულია შპს „ნიუ სფეისი" - ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, რომელიც ტექნიკურ წყალს მდინარიდან იღებს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის მიერ ჩამდინარე წყლის სინჯები მდინარეში ჩაშვებამდე იქნა აღებული. ლაბორატორიული კვლევისა და დასკვნის მიხედვით დადასტურდა, რომ კომპანიას დარღვეული ჰქონდა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები. ის არ ახდენდა წყლის გაწმენდას, აღნიშნული კი იწვევდა მდინარე ჩხერიმელას დაბინძურებას. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა გამოიანგარიშა გარემოსთვის მიყენებული ზარალი, რომელმაც 51 263,28 ლარი შეადგინა. დეპარტამენტმა კომპანიის მიმართ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც მასთან დართული მასალებით ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოს გადაეგზავნა." - ნათქვამია დასკვნაში.

მარიანა ბურჯალიანი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორებმა" ფუნქციონირება შეწყვიტა

5 სექტემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ცნობად მიიღეს პირადი განცხადების საფუძველზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიიდან ვარლამ თავზარაშვილის გასვლა, ასევე ფრაქცია „ქართული ოცნება — კონსერვატორების" თავმჯდომარის, გელა გოლუბიანის, განცხადება, რომელიც ფრაქციის აღნიშნული სახელწოდებით ფუნქციონირების შეწყვეტას ანუ მის გაუქმებას გულისხმობს.

ფრაქცია „ქართული ოცნება — კონსერვატორების" თავმჯდომარე, გელა გოლუბიანის განცხადებით, მათი სურვილია ფრაქციამ ახალი სახელწოდებით იფუნქციონიროს.

აღნიშნულ საკითხზე 7 სექტემბერს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომაზე იმსჯელეს. კომისიამ დადებითი დასკვნა გასცა ახალი ფრაქციის სახელწოდებით „თავისუფალი არჩევანი" ჩამოყალიბების თაობაზე.

აღნიშნული დასკვნა ბიუროს უახლოეს სხდომაზე განიხილება. „პროცედურულად, ფრაქცია დარეგისტრირებულად ჩაითვლება, როდესაც კომისიის მიერ გაცემული დადებითი დასკვნა საკრებულოს წარედგინება და დეპუტატები ცნობის სახით მიიღებენ." - განმარტა კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ გელაშვილმა.

სოფელ ზვარეში ხაშური - ხარაგაული - ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალის გვირაბზე მომუშავე პირთა მოთხოვნები ეტაპობრივად კმაყოფილდება

სოფელ ზვარეში ხაშური - ხარაგაული - ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალის გვირაბზე მომუშავე პირები ერთი თვის წინ გაიფიცნენ. გვირაბზე სამშენებლო სამუშაოებს ჩინური კომპანია შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“ ასრულებს. გაფიცვის მიზეზად დასაქმებულები გაუსაძლის სამუშაო პირობებს, უსაფრთხოების ნორმების დარღვევასა და მოძველებული ტექნიკით მუშაობას ასახელებდნენ.

საკითხით არაერთი დეპარტამენტი, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორი დაინტერესდა. ამ დროის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ჯანდაცვის სამინისტროსა და დამსაქმებელ ჩინურ მხარეს შორის.

როგორც ჩვენთან საუბარში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს წარმომადგენელი, ლევან ჟორჟოლიანი, აღნიშნავს, უკვე მომზადებულია ხელშეკრულება, რომლის დეტალები დამსაქმებელ პირებთან შეთანხმებულია. დარჩენილია მხოლოდ ფორმალური მხარე, ხელშეკრულების გაცნობის შემდეგ მასზე ხელის მოწერა.

„შეხვედრაზე, რომელიც დამსაქმებელსა და ჩვენ შორის შედგა, გადაწყდა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს პროფკავშირი მოამზადებდა ხელშეკრულების ნიმუშს. მომზადდა ხელშეკრულება, თუმცა ჯერ ოფიციალურად გაფორმებული არაა. სიტყვიერად ხელშეკრულების თითოეული პუნქტი გავლილი გვაქვს დამსაქმებელ კომპანიასთან და მათ მიერ თანხმობაცაა გამოცხადებული. იმ შემთხვევაში, თუ ჩინური კომპანია ხელს არ მოაწერს ამ ხელშეკრულებას, დასაქმებული პირები გამოაცხადებენ პროტესტს და გაიფიცებიან. 12 სექტემბერს ჯანდაცვის სამინისტროში მხარეები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს და მოხდება ყველა იმ რისკ-ფაქტორის ახსნა-განმატება, რაც შეიძლება შეუთანხმებლობას მოჰყვეს. ამის შემდეგ კი მათი გადასაწყვეტია, როგორ ზომებს მიიღებენ. ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, ორივე მხარის ინტერესები დავიცვათ,“ - აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ლევან ჟორჟოლიანი.

ჟორჟოლიანი დასაქმებულ პირთა ანაზღაურებასა და დასვენების დღეებს შეეხო - „ხელშეკრულებაში დეტალურადაა ყველა პუნქტი ჩაშლილი, ზეგანაკვეთური, სახელფასო ანაზღაურება, დასვენების დღეები და სხვა. მათ ავუხსენით, რომ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ადამიანებს აქვთ დასვენების უფლება. სახელფასო ანაზღაურება კი უცვლელი დარჩება.“- განმარტავს ბატონი ლევანი.

ლევან ჟორჟოლიანის ინფორმაციით, მუშების პრობლემების აღმოფხვრა ეტაპობრივად მიმდინარეობს. მოწესრიგდა სველი წერტილები, დასაქმებულ პირებს აქვთ სამუშაო ფორმა და უსაფრთხოების ზომებიც შეძლებისდაგვარად დაცულია.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს. სოფელ ნადაბურში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ რკინის კონსტრუქციით სასაფლაო შემოიღობა. სამუშაოების ღირებულება 10 000 ლარს შეადგენს და იგი ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ბორჯიმ“ შეასრულა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სასაფლაო შემოიღობა ასევე სოფელ გოლისში. პროექტი 4 000 ლარით დაფინანსდა. სამუშაოები 2 სექტემბერს დასრულდა და იგი ი/მ „ტრისტან ლომსაძემ“ შეასრულა.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სოფელ ვანში ახალი ხიდბოგირი გაკეთდა

სოფელ ვანში მდინარე ჯონჯოურზე ახალი ხიდბოგირი გაკეთდა. აღნიშნული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 4 000 ლარით დაფინანსდა. სამშენებლო სამუშაოები ი/მ „ნიკოლოზ მღვდელაძემ“ შეასრულა.

ხიდბოგირები მოეწყო სოფელ ლეღვანშიც მდინარე ლეღვნულას სამანქანო ხიდზე. აღნიშნული ხიდით სოფელი მარელისი და ლეღვანი ერთმანეთს უკავშირდება. სამუშაოები 4 999 ლარით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა ხიდბოგირების მონტაჟი სოფელ ვარძიაშიც. სამუშაოებისთვის 6 354 ლარი გამოიყო და იგი შპს „ტუკა“-მ შეასრულა.

„მე შეგადარებთ ცისკარს...“

თითქოს გუშინ იყო ყოველივე ეს... მთელი სიცხადით აღვიქვამთ იმ დღეს, როდესაც დედებთან ხელჩაკიდებულებმა შემოვაბიჯეთ ჩვენი ცოდნის მესაძირკვლე რკინიგზის ხარაგაულის N 10 საშუალო (დღევანდელი მესამე საჯარო) სკოლის კედლებში. აბა ვის დაავიწყდება ის ღიმილი, ის სითბო-სიყვარული, რომლითაც ჩვენმა პირველმა გზამკვლევმა, ვენერა მასწავლებელმა, ჩაგვიკრა გულში ოცდარვა ანცი გოგო-ბიჭი...

ვერ იჯერებ, მაგრამ ამ დღიდან 30 წელი გასულა... და შევიკრიბეთ 1985-1986 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები, ერთმანეთს, სკოლასა და ჩვენს აღმზრდელებს მონატრებულები...

დამეთანხმებით, სწავლების დაწყებითი საფეხური განსაკუთრებული ეტაპია ადამიანის ცხოვრებაში, როცა ნელ-ნელა, დიდი რუდუნებითა და გამოცდილებით, შენი სულის მეჩუქურთმე პირველი მასწავლებელი გიმწვანებს და გილამაზებს იმ გზას, რომლითაც იწყებ სვლას ცოდნის უკიდეგანო სამყაროსაკენ...

მე და ჩემი თანაკლასელები ბედნიერები ვართ, რომ ეს დიდი მისია ისეთ პიროვნებას ხვდა წილად, როგორიც ქალბატონი ვენერა ყიფიანი-კიკნაძეა. დედებთან განშორება, პირველი გაკვეთილების დაწყების წინ განსაკუთრებით ჩვენს ონავარ ბიჭებს: ზაზას, გიას, დათოს, პაატას, კობას გაუჭირდათ, მაგრამ სულ მალე იგრძნეს ვენერა მასწავლებლის დედაშვილური სითბო და ორიოდე დღის შემდეგ შუა გაკვეთილზე აღარ ეკითხებოდნენ: ჩემი დედიკო მალე მოვა, ვენერა მასწავლებელო?

დიახ, ვენერა მასწავლებელი მალე გვექცა მეორე დედად, რომელმაც რაღაც უხილავი ძლიერი ძალით შეგვისისხლხორცა და თავის გულში დაგვიდო სანეტარო თბილი და ტკბილი ბინა... ოთხი წლის შემდეგ კი ჩვენი სულის ძერწვა განაგრძეს: ჩვენმა უსაყვარულესმა დირექტორმა, კაცურკაცობისა და პედაგოგობის ეტალონმა ანზორ არევაძემ, კლასის ხელმძღვანელმა დოვრეთ ნიკოლეიშვილმა, თამარ სახვაძემ, მერი გიორგიძემ, ნათელა იოსელიანმა, ნათელა კურტანიძემ, ჟუჟუნა ჭიპაშვილმა, როზა კვირიკაშვილმა, მზია თაბუკაშვილმა, ჰერა ლომსაძემ, ნუნუ ასათიანმა, გურამ გურგენიძემ...

მარადიული ხსოვნა მათგან ზეციურ სამყაროში დამკვიდრებულთ და დიდხანს სიცოცხლე მათ, ვისთან ყოველი შეხვედრაც მოწიწების გრძნობით გვავსებს და წამიერად მოსწავლეობის ზღაპრულ სამყაროში გვაბრუნებს...

და დღეს, 2016 წლის 3 სექტემბერს, კვლავ აშრიალდა ჩვენს სულში „ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი...“ ამ დღეს კიდევ ერთხელ გაიხსნა ჩვენი გულის ჭრილობა, როცა პატივი მივაგეთ აფხაზეთში მებრძოლ ხარაგაულელ პატრიოტებს: თემურ ბაბლიძეს (ბედის უკუღმართობით მისი საფლავიც რომ არავინ იცის...), ჩვენს უტკბეს ვეფხია ლომსაძეს, გამაოგნებელი ტრაგედიის მსხვერპლს, ჩვენს გამორჩეულ გია მაჭავარიანს, რომლის ტრაგედიაც არ იყო მხოლოდ ოჯახის და სამეგობროს ტრაგედია...

წესისამებრ, სევდიან ტალღას კვლავ ღიმილ-სიხარული ჩავანაცვლეთ გარდასულ დღეთა ლამაზი ეპიზოდების მოგონებებით. უამრავთაგან ერთ-ერთი მაინც უნდა შემოგთავაზოთ...

მიშველეთ ახლა, არ შემარცხვინოთ!

ჩვენი სკოლა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ეკუთვნოდა. ხშირად ტარდებოდა ე.წ. „სახაზო გაკვეთილები“. ასეთ გაკვეთილებზე გვსტუმრობდნენ პედაგოგები სრულიად საქართველოს რკინიგზის სკოლებიდან. მეცხრეკლასელებთან ქართულ ენაში გაკვეთილი ჩვენმა უსაყვარულესმა მასწავლებელმა მერი გიორგიძემ ჩაატარა. 20-25 სტუმარი შემოგვცქეროდა ხან ჩვენ და ხან მერი მასწავლებელს. გაკვეთილის დაწყებიდანვე მათ სახეებზე დიდი კმაყოფილება იხატებოდა ჩვენი პასუხებით და, ბუნებრივია, მასწავლებლის ტაქტითა და საგნის ცოდნით. ახალი მასალის განმტკიცების დროს საჭიროებამ მოითხოვა, მოგვეგონებინა შედგენილი შემასმენლის ზმნური კომპონენტის გრამატიკული სახელწოდება. როგორ არ ეცადა მერი მასწავლებელი, რომ გაგვეხსენებინა... არადა, დროში „ვიწვებით“. და უეცრად, მერი მასწავლებელმა მოძებნა ალბათ ყველაზე ოპტიმალური გზა, როცა მოგვმართა:

— რა დაგემართათ, ჩემო ჭკვიანებო, მიშველეთ ახლა, არ შემარცხვინოთ!

წამიერად სიხარულით სტუმრებიც დაგვავიწყდა და ერთხმად წამოვიძახეთ — მეშველი ზმნა! ასე გვეშველა ჩვენც და ჩვენს მერი მასწავლებელსაც! სტუმრებმაც ვერ დაფარეს სიამოვნება და ჩვენ თვალწინ შეაქეს ჩვენი საყვარელი მერი მასწავლებელი.

ჩვენს დროს შეფასების მწვერვალი ხუთიანი იყო. ჩვენი განვლილი ცხოვრება, მიღწევები ჩვენმა საყვარელმა პედაგოგებმა: ანზორ არევაძემ, ვენერა კიკნაძემ, მერი გიორგიძემ შეგვიფასეს და თანამედროვე ათქულიანი სიტემის შესაბამისად ათიანები დაგვიწერეს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან ჩვენს კლასს ხომ გამორჩეული რძლები, სიძეები, შვილები და შვილიშვილები შევმატეთ?! როგორ წარმოგვაჩინეს საზეიმო სუფრასთან ცეცხლოვანი ხელოვნებით ჩვენმა შვილებმა: ბაქარ, ლიზი და რატი ტორაძეებმა, ელისო და ცოტნე კიკნაძეებმა, მარიამ პაქსაშვილმა, ელენე ციცქიშვილმა, მარიამ კიკნაძემ.

მე კი ყველა ჩემი თანაკლასელის შესატყვისი დახასიათებისთვის და ამ წერილის სათაურადაც იმ ლექსის ამონარიდს გამოვიყენებ, რომელიც პოეზიის დიდმა მოყვარულმა მერი მასწავლებელმა ჩვენს სადღეგრძელოს მიუსადაგა:

„სახით ლამაზებს, სულით ძლიერებს,
მე შეგადარებთ ცისკარს...
იბედნიერეთ, იბედნიერეთ,
იბედნიერეთ დიდხანს! “

ისმინოს უფალმა!

კურსდამთავრებული,
ნანა კიკნაძე,
ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

ტყეკაფებით სარგებლობა ადგილობრივებს უკვე შეუძლიათ

რამდენიმე თვეა, რაც გარემოს დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსის თანამდებობაზე სოსო ფოფხაძე დაინიშნა. იგი ამავე სამსახურში 2011 — 2016 წლებში ვარძიისა და საქასრიის ტყის მცველად მუშაობდა.

ბატონი სოსო 1990 წლის 16 აპრილს სოფელ კიცხში დაიბადა. 2007 წელს დაამთავრა კიცხის საჯარო სკოლა. 2007 — 2011 წლებში სწავლობდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სატყეო სამეურნეო ფაკულტეტზე. 2011 წელს, ხარაგაულის სატყეო უბნის ტყის მცველად მუშაობის პერიოდში, შეთავსებით დასაქმებული იყო ტყეთმოწყობაზე.

მოგეხსენებათ, დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ თემად საქართველოში, განსაკუთრებით კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ხე-ტყეზე ხელმიუწვდომლობაა. მოქალაქეს უწევს გარკვეული პროცედურების გავლა, რათა მოიპოვოს როგორც პირველი ხარისხის მერქანი, ასევე საშეშე მასალა. რა პროცედურებია გასავლელი და რა მდგომარეობაა ამ მხრივ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსს, სოსო ფოფხაძეს, ვესაუბრეთ. მისი თქმით, პირველი ხარისხის მერქნის გაცემა შესაძლებელია გამგებლისა და გუბერნატორის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც იგზავნება გარემოს დაცვის სამინისტროში და თანხმობის შემთხვევაში გარკვეული სატყეო უბნიდან ხდება მოსახლეობის დაკმაყოფილება.

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტში წელს 400 კუბმეტრამდე პირველი ხარისხის მერქნით შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ ადგილობრივები. ეს არის წიფლისა და თხმელის ჯიშის მერქანი. იმის გამო, რომ ხარაგაულში წიწვოვანი ჯიში ნაკლებადაა და ამით მოსახლეობის დაკმაყოფილება ვერ ხერხდება, საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია, პიროვნება გადავამისამართოთ ბაღდათის მუნიციპალიტეტში,“ - აღნიშნავს ფოფხაძე.

სოსო ფოფხაძემ ტყეკაფებთან დაკავშირებითაც ისაუბრა - „საშეშე ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არანაირი პრობლემა არ არსებობს. მიმდინარე წელს 32 ტყეკაფია გამოყოფილი. დაახლოებით 10 კიდევ დაემატება. აქედან 20 ტყეკაფი უკვე გახსნილია ზონების მიხედვით და მათი გამოყენება მოსახლეობას უკვე შეუძლია. დანარჩენების გახსნა ეტაპობრივად მოხდება.

ტყის მცველებს ევალებათ კოდირებული ტყეკაფების დაცვა, რომელიც მოქალაქის მიმართვის შემთხვევაში მისცემს ტყეკაფის კოდს. ადგილობრივი პირი შემდეგ უნდა მივიდეს ბანკში, სადაც მას მოუწევს თითოეულ კუბმეტრზე გარკვეული თანხის გადახდა, რომელიც რცხილისა და წიფლის შემთხვევაში 6 ლარს, ხოლო თხმელის შემთხვევაში 5 ლარს შეადგენს. ქვითარზე აღნიშნული იქნება, თუ რომელი ტყეკაფით შეუძლია ისარგებლოს მოქალაქემ. ქვითრის აღების შემდეგ იგი ტყის მცველს უთანხმებს დროს, თუ როდის სურს ტყეში შესვლა, რათა მან გაუკეთოს საბუთი და ადგილობრივს არ შეექმნას პრობლემა. არ მოხდეს მისი გაჩერება პოლიციის ან გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ.“

„გარემოს დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურის ხარაგაულის სატყეო უბნის“ უფროსი იმ ხარვეზებზეც გვესაუბრა, რომელიც დღესდღეობით აღნიშნულ სამსახურშია.

„ვფიქრობ, პირველი ხარისხის მერქანზე არ უნდა იყოს არსებული რთული პროცედურების გავლა საჭირო. მოქალაქეს, რომელსაც ყველაზე იაფი თხმელის სამასალე მერქანი ესაჭიროება ამისათვის გამგებლისა და გუბერნატორის შუამდგომლობა არ უნდა იყოს საჭირო. ყოველივე სოფლის რწმუნებულსა და ჩვენ შორის შეთანხმების საფუძველზე მარტივად უნდა გვარდებოდეს. ღირებულებით არაა ძვირი, მაგრამ საკმაოდ ბევრი პროცედურაა გასავლელი, რასაც დიდი დრო ესაჭიროება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სამასალე ხე-ტყე მოთხოვნადია. ადგილობრივს კი მისი სხვაგან შეძენის საშუალება არ გააჩნია.“ - განმარტავს სოსო ფოფხაძე.

თამარ მაღრაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 24 ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲜᲐ

1 და 5 სექტემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს მორიგი სხდომები ჩატარდა.

საბჭომ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ გოლისში, ფონაში, წიფასა და გოლათუბანში მცხოვრები მოქალაქეების ინდივიდუალური განცხადებები - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ განცხადებებს საბჭოს გადაწყვეტილებით დადებითი რეკომენდაცია გაეწიათ.

2016 წლის პირველი იანვრიდან დღემდე ინდივიდუალური განაცხადის საფუძველზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი 281 პიროვნებას უკვე მიენიჭა.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი ამჯერად მიენიჭათ წიფაში მცხოვრებ: იამზე ბოჟაძეს, ეკა ღამბაშიძეს, ნათელა ნადირაშვილს, გულნაზი ტაგანაშვილს, რეზო ქურდაძეს, ელენა ქურდაძეს, მამუკა ქოქაშვილს, მანა ქოქაშვილს, ოთარ ქოქაშვილს, პაატა ქოქაშვილს, ხვიჩა ღონღაძეს.

გოლათუბანში მცხოვრებ: ვენერა ბოგვერაძეს, მერი კიკნაძეს, იზოლდა ღონღაძეს, გოდერძი ჩიტაძეს, ნანა ჩადუნელს, რამაზ ტაგანაშვილს, ჟუჟუნა ჩიტაძეს, ემზარ ტაგანაშვილს, გელა ღონღაძეს, სონა ღამბაშიძეს.

ფონაში მცხოვრებ: სულიკო ნოზაძეს, ნინელი ნოზაძეს.

გოლისში მცხოვრებ - ელეონორა ტაბატაძეს.

ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐ ᲒᲣᲠᲯᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲞᲔᲜᲡᲘᲐ ᲒᲐᲔᲖᲐᲠᲓᲐᲗ

პირველი სექტემბრიდან მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლებში მუდმივად მცხოვრებ ასაკით პენსიონერებს პენსია 20%-ით გაეზარდათ და ისინი 180 ლარის ნაცვლად ახლა უკვე 216 ლარს მიიღებენ.

სოციალური შეღავათების ძალაში შესვლის შედეგად, ასევე, 20%-ით გაიზრდება მთაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირების ფულადი გასაცემელი. მათ შორის არიან მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მარჩენალდაკარგულები და პოლიტრეპრესირებულები. მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ ბავშვები 180 ლარის ნაცვლად 216 ლარს მიიღებენ. შესაბამისად, 20 %-ით გაიზრდება სხვა სოციალური პაკეტების დანამატიც და მნიშვნელოვნად გამოხატული პირების, მარჩენალდაკარგულებისა და პოლიტრეპრესირებულების თანხა 100 ლარის ნაცვლად 120 ლარი გახდება. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მხოლოდ ამ დანამატებისათვის ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან მომდევნო თვეს 1 მლნ 800 ათასი ლარი გამოიყოფა. ყოველთვიური დანამატი მაღალმთიან დასახლებაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულ პერსონალსაც მიეცემა. მათ შორისაა, რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის 500-მდე ექიმი და ექთანი, რომლებიც მაღალმთიან რაიონებს ემსახურებიან. ექიმებისთვის ეს თანხა 360, ხოლო ექთნებისთვის - 180 ლარით განისაზღვრება. დანამატი გაიცემა ასევე რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის კლინიკების მედპერსონალისთვის.

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲚᲔᲦᲕᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲛᲔᲢᲠᲐᲭᲘᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲡ

27 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვანში მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ჩვენება გაიმართა. „თუთა“ ასე ერქვა ფილმს, რომელიც თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინემატოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტმა, სანდრო სულაძემ, გადაიღო. ეს მისი სადიპლომო ნამუშევარია.

ფილმი სოფელ ლეღვანშია გადაღებული და სურათი მიტოვებულ სოფელში მცხოვრები გოგონა თუთას ცხოვრებას ასახავს. მას დედა გარდაეცვალა, დარჩა მხოლოდ მამა. თუთა ქალაქში გადადის საცხოვრებლად. ფილმში აღწერილია, თუ როგორ იცლება სოფელი ახალგაზრდებისაგან და რა შედეგი მოჰყვება სოფლისათვის მიგრაციას.

აღსანიშნავია, რომ ახალბედა რეჟისორსა და მსახიობებს უსასყიდლოდ სწორედ ამავე სოფლის მკვიდრი, თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი, მერაბ შარიქაძე, უწევდა დახმარებას. ფილმის ჩვენებას სოფელ ლეღვნის მცხოვრებნი, ფილმის მსახიობები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

2015 წელს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში წარმოდგენილი 40 პროექტიდან ერთ - ერთი ფილმი „თუთაა“.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

ᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ „ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲗ“ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲒᲐᲘᲦᲔᲡ

29 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში თბილისის „ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის“ სისხლის ბანკისა და მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით უანგარო დონორთა აქცია ჩატარდა. „თქვენ დღეს სიცოცხლე გადაარჩინეთ“ - სახელწოდების მქონე აქცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაიმართა.

როგორც ჩვენთან საუბრისას „ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის“ სისხლის ბანკის თერაპევტმა, ია ზუმბაძემ, განაცხადა - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სისხლის გადასხმის აქციაში დიდი წვლილი მუნიციპალიტეტის გამგეობას მიუძღვის. „მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ პაატა გოგოლაძეს, და ყველა იმ ადამიანს, ვინც სისხლი უანგაროდ გაიღო. ისინი არაერთ ადამიანს დაეხმარებიან სიცოცხლის გადარჩენაში.“ - დასძინა ქალბატონმა იამ.

აღსანიშნავია, რომ „ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის“ სისხლის ბანკიდან საქართველოს მასშტაბით 40 - მდე კლინიკა მარაგდება. მათ შორის არიან როგორც ონკოლოგიური, ასევე ჰემატოლოგიური პროფილის კლინიკები. ონკოლოგიითა და ლეიკემიით დაავადებული პაციენტებისთვის სისხლის ხშირი გადასხმა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. სისხლის კომპონენტებით მარაგდება ასევე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკებიც, რომელთაც სისხლის მიწოდება ყოველდღიურად უწყვეტ რეჟიმში ესაჭიროებათ.

როგორც ცნობილია, სისხლის უანგარო დონაცია უსაფრთხო პროცესია. ამავდროულად დონორიც იღებს სარგებელს, რადგან სისხლის გაცემის პროცესი ხელს უწყობს სისხლში ახალი უჯრედების წარმოქმნას და შედეგად აახალგაზრდავებს მას.

„ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტში“ არსებული ლაბორატორია უმაღლესი ხარისხის, ამერიკული კომპანიის, Johnson & Johnson-ის აპარატურით არის აღჭურვილი. კომპლექსური ანალიზატორების წყალობით ტარდება ფართო სპექტრის, მაღალი ხარისხის გამოკვლევები.აქციაში მონაწილე თითოეულ წევრს ამ ანალიზატორების საშუალებით ჩაუტარდებათ კვლევები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია უსაფრთხო სისხლის მისაღებად. კვლევები საკმაოდ ძვირადღირებულია, ამიტომ წამახალისებელია ის ფაქტი, რომ ყველა დონორს უბრუნდება ანალიზების პასუხები (კონფიდენციალურად,დალუქულ კონვერტში) ჰემოგლობინისა და საერთო სისხლის ანალიზის გარდა კვლევები ტარდება ვირუსებზე, (შიდსი, სიფილისი, A ჰეპატიტი, B, ჰეპატიტი, C ჰეპატიტი) ასევე ხდება რეზუს და ჯგუფის დადგენა.

ყველა ჯანმრთელ, ზრდასრულ ადამიანს შეუძლია სისხლის ჩაბარება 2 თვეში ერთხელ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

ᲛᲘᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲘᲪᲮᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

12 — 25 აგვისტოს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით უბნებს შორის მინი ფეხბურთი ჩატარდა. ჩემპიონატი ჯგუფური პრინციპით მიმდინარეობდა და მასში მანაწილეობას 16 გუნდი იღებდა. ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს კიცხისა და ლაშის გუნდები დაუპირისპირდნენ. საბოლოო გამარჯვება კი კიცხის გუნდმა ანგარიშით 3:2 მოიპოვა.

ფინალისტებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ კი ლაშის გუნდის ფეხბურთელი ირაკლი კიკნაძე დასახელდა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲡ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ

1 — 4 სექტემბერს თბილისში, „ექსპო-ჯორჯიაში,“ ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული გამოფენა გაიხსნა. ღონისძიება საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატისა და ბელარუსის სავაჭრო სამრეწველო პალატის ორგანიზებით ჩატარდა. საქართველოში ბელარუსის ეროვნული გამოფენის ჩატარების პროცესში ასევე ჩართულნი იყვნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები.

გამოფენაში ბელარუსის რესპუბლიკის 140 - მდე წამყვანი საწარმო და კომპანია მონაწილეობდა, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ბელარუსში წარმოებული პროდუქციის სრული სპექტრი. სამეცნიერო მიღწევები და საგანმანათლებლო სერვისები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სამომხმარებლო საქონელი, ქართულ - ბელარუსული საწარმოს მიერ აწყობილი ტრაქტორები, მანქანათმშენებლობა და ტრანსპორტი, სასოფლო - სამეურნეო და კვების პროდუქტები, ნავთობ - ქიმიური მრეწველობა, ფარმაცევტული პროდუქცია, მსუბუქი მრეწველობა, ხისა და სამშენებლო მასალების წარმოება, ტურისტული მომსახურება და სხვა. გამოფენაზე შესაძლებელი იყო, როგორც დეგუსტაცია - დათვალიერება ასევე ამა თუ იმ პროდუქციის შეძენაც.

აღსანიშნავია, რომ თბილისში ბელარუსიის რესპუბლიკის ეროვნულ გამოფენაზე სტუმრობა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. ამავე გამოფენას კი 2 სექტემბერს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის (უფროსი ბონდო კიკნაველიძე) თანამშრომლები და დაინტერესებული პირები ესტუმრნენ.

ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა ფორუმი, რომელიც ორი ქვეყნის ბიზნესსექტორის წარმომადგენლების დაახლოებასა და საქართველო - ბელარუსს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲠᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595 51 98 12